საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე



ა. კავსაძე

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე (1874, სოფ. ხოვლე, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 12. VI. 1939, თბილისი), მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი), მგალობელი, ლოტბარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე(1930). სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. სიმღერა შეისწავლა მამისგან, გ. კავსაძისგან (იხ. სტ. კავსაძეები), რ-იც შესანიშნავი მომღერალი და მგალობელი იყო. სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში და იქვე მღეროდა ს. გოგლიჩიძის გუნდში. შემდეგ ამ გუნდის ლოტბარიც გახდა. 1894- იდან ასწავლიდა სიმღერას გორის დაწყებით სკოლაში, აქვე დააარსა მომღერალთა გუნდი (ამ გუნდში მღეროდა ვ. სარაჯიშვილი). 1896– 1911 ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს თბილისში. 1911 მომღერალთა გუნდები ჩამოყალიბდა ტყიბულსა და ჭიათურაში, სადაც 24 წელი მოღვაწეობდა. 1935 თბილისში დააარსა აღმ. საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი (100-კაციანი), რ-იც წარმატებით გამოვიდა მოსკოვში (1937) ქართული ხელოვნების დეკადაზე. კ-მ დიდი როლი შეასრულა ქართ. ხალხ. სიმღერების მოძიებაში, დახვეწასა და პოპულარიზაციაში. მან მრავალი ლოტბარი აღზარდა. მისი მოწაფეები იყვნენ გ. და დ. კავსაძეები (კ-ის შვილები), მ. კავსაძე, ვ. ხატელიშვილი, ს. გველესიანი და სხვ. კ. ქართული ხალხ. სიმღერების, განსაკუთრებით კი "ურმულისა" და "ოროველას" უბადლო შემსრულებელი და აღიარებული დიდოსტატი იყო.

ლიტ.: ა ს ი ე შ ვ ი ლ ი ბ., კავსაძეები, თბ., 2007; გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ვლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბ., 1966.

ბ. ასიეშვილი